

შიდა ქართლის რწმუნებული სოფელ გუდალეთის მაცხოვრებლებს შეხვდა

25 აგვისტო 2022

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდალეთში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი საჭიროებები მოისმინა. მოსახლეობასთან შეხვედრისას სახელმწიფო რწმუნებულმა ხაზი გაუსვა ადგილობრივების თანამონაწილეობას და აქტიურ ჩართულობას გადამწყვეტილების მიღების პროცესში. „თქვენ ყველაზე უკეთ იცით, თუ რა პრიორიტეტული საკითხები აქვს სოფელს, ჩვენ კი სწორედ თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა დავგეგმოთ თითოეული შემდგომი პროექტი“ - აღნიშნა მიხეილ შაყულაშვილმა. ადგილობრივების თქმით, გზის რეაბილიტაცია, რომელიც უკვე დაიწყო და მიმდინარეობს, საგრძნობლად გააუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო პირობებს, მოხსნის ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემას და ხელს შეუწყობს სოფელში მოსახლეობის დარჩენას. გარდა ამისა, შეკრებილებმა შეხვედრაზე სასამელი წყლის სისტემის მონესრიგების საკითხი დააყენეს. კასპის მუნიციპალიტეტის მერის თქმით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. „იქიდან გამომდინარე, რომ თქვენივე გადამწყვეტილებით, გზის მონესრიგება პირველ პრიორიტეტად დასახელდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება და სამუშაოები უკვე დაიწყო, მომავალი წლისთვის კი ადგილობრივები კეთილმონყობილი გზით ისარგებლებთ. ამჯერად უკვე სასამელი წყლის პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნებთ“ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა.

გარდა ამისა, სახელმწიფო რწმუნებულმა სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა. ამჟამად სოფელ გუდალეთში გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი გარდამავალია და სარეაბილიტაციო სამუშაოები 2023 წლისთვის დასრულდება. დაგეგმილია, ჯამში, 6 კილომეტრამდე გზის საფარის ასფალტირება და ასევე, სანიაღვრე სისტემის მონყობა. პროექტის ღირებულებაა 2 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. აღსანიშნავია, რომ სოფელი გუდალეთი მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს და დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია.